დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2022 წლის 22 და 23 აგვისტო

დასკვნის წარდგენის თარიღი
2022 წლის 07 სექტემბერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**205089526**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**კი**
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**კი**
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**კი**
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თბილისი, წყნეთი**
იურიდიული მისამართი	**თბილისი, დოლიძის ქ. N2**
ფაქტობრივი მისამართი	**თბილისი, წყნეთი, რუსთაველის ქ. N52**
საფოსტო ინდექსი	**0181**
დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://buckswood.ge//**
დაწესებულების ელ-ფოსტა	**info@bukswood.ge**
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**577992993**
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**არჩილ სუმბაძე**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**577658855**
ელ-ფოსტა	**headmaster@bukswood.ge**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს MES 1 22 0000863807 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 22 და 23 აგვისტო
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	მიხეილ ტეფნაძე
წევრი (სახელი, გვარი)	თამარ მიდელაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	სკოლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---თ--ძიღეყაშვილი---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას			

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	1. ჰაუსების სისტემა - სკოლის მართვის ტრადიციული ანგლოსაქსური მოდელი - ჰაუსების სისტემა, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალური და გუნდური პასუხისმგებლობების შერწყმით მოსწავლეთა გამორჩეულად აქტიურ მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში (კლასგარეშე აქტივობებში). 2. წინასაბაკალავრო პროგრამა - ბაქსვუდის უმაღლესი სკოლის ერთ–ერთი ცენტრალური საგანმანათლებლო პროდუქტი, რომელიც ინტენსიური მომზადებისა და უნივერსალური პრაქტიკული გამოცდილების გზით, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს ამზადებს როგორც ეროვნული გამოცდებისათვის, ასევე წარმატებული სტუდენტური ცხოვრებისა და მომავალი პროფესიული კარიერისათვის. 3. საერთაშორისო პროგრამები. 4. ვირტუალური რეალობისა და გაფართოებული რეალობის ტექნოლოგიების დანერგვით სწავლება.

დაწესებულების მისია	ჩვენ გვწამს, რომ თითოეული ბავშვი უნიკალური ნიჭის მატარებელია. სწორედ ამიტომ, ბაქსვუდის უმთავრესი მისიაა ამ ნიჭის აღმოჩენა და შესაბამისი გარემოს შექმნა მისი მაქსიმალური რეალიზებისათვის. სკოლა მოწოდებულია, განათლების ქართული და ბრიტანული ტრადიციების უნიკალური შერწყმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	გზითა და არაფორმალური განათლების გაძლიერებული პროგრამით, აღზარდოს მომავალი თაობები თანამედროვე ქართული სამოქალაქო საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მისცეს მათ საფუძვლიანი საბაზო ცოდნა სხვადასხვა დარგში და განუვითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები წარმატებული სტუდენტობისა და პროფესიული კარიერისათვის.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

რაოდენობა: 960	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისათვის წარმოადგინა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (შემდეგში 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა) და შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (შემდეგში 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი). ორივე დოკუმენტი ანალოგიური სტრუქტურისაა და შედგება შემდეგი ნაწილებისგან: • შესავალი; • სკოლის მისია; • საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულისგან განსხვავებული სქემით; • დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	• სასკოლო საათობრივი ბადე; • სასკოლო დღი განრიგი; • სასწავლო რესურსები (მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოები); • მოსწავლეთა შეფასების სისტემა; • სადამრიგებლო პროგრამა; • სსსმ მოსწავლეთა სწავლების გეგმა; • აკადემიური კალენდარი; • სილაბუსები და დეპარტამენტების წლიური სამოქმედო გეგმები. წარმოდგენილი ორივე დოკუმენტი, სტრუქტურითა და შინაარსით შეესაბამება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის 36/ნ ბრძანებებს (შემდგომში ეროვნული სასწავლო გეგმა). 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შინაარსის, სკოლის დირექცია და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით სკოლის მისიის მისაღწევად სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული ადამინური რესურსი მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, სადაც შესაძლებელი იქნება ეროვნული სასწავლო გეგმითა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულისაგან განსხვავებული სქემით შესასწავლი პროგრამებით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. „... სკოლას აქვს ინდივიდუალური აკადემიური პროფილი, რაც გულისხმობს გარკვეული მიმართულებების გაძლიერებული და/ან მოდიფიცირებული სქემით სწავლებას. როგორც კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას და დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლის სრულუფლებიან პარტნიორს, ბაქსვუდს აქვს შესაძლებლობა ინოვაციური მიდგომები შესთავაზოს თავის მოსწავლეებს ზოგადი განათლების მიზნების უკეთ და უფრო ეფექტურად მისაღწევად. ...“ განსხვავებული სქემით სწავლების საგნებია: • ინგლისური ენა - გაძლიერებული პროგრამა გაზრდილი საათობრივი დატვირთვისა და მაღალი საგნობრივი სტანდარტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	ხარჯზე, ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგების გარდა, ითვალისწინებს მე-10 კლასის ბოლოსათვის FCE გამოცდის სტანდარტის დაძლევას. წინასაბაკალავრო პროგრამის ფარგლებში (XI-XII კლასები) კი მოსწავლეებს აქვთ არჩევანი, ფოკუსირება მოახდინონ ერთიანი ეროვნული გამოცდების სტანდარტზე ან მოემზადონ 2 უმთავრესი საერთაშორისო სერტიფიკატიდან ერთ-ერთისათვის - IELTS ან TOEFL. ინგლისური ენის სწავლება ახალ ეტაპზე გადადის 2022-2023 სასწავლო წლიდან, რადგან სკოლას "CollegeBoard"-ის მიერ მიენიჭა SAT-ის ენობრივი საგამოცდო ცენტრის ლიცენზია, რაც ბაქსვუდელებს, ისევე როგორც სხვა მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას სკოლის ბაზაზე ჩააბარონ ეს საერთაშორისო გამოცდა. • მათემატიკა - 2019 წლიდან სკოლამ დაიწყო მუშაობა მათემატიკის სწავლების გაძლიერებაზე, რომლის ახალი ეტაპი სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლასთან გაფორმებული თანამშრომლობაა, რომლის ფარგლებშიც საბაზო და საშუალო საფეხურებზე იქმნება ე.წ. კომაროვის განაყოფები, რომლებიც მათემატიკას გაძლიერებული, კომაროვის მეთოდოლოგიაზე დამყარებული პროგრამით შეისწავლიან. • სპორტი - სპორტი ბაქსვუდის აკადემიური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს როგორც სპორტული უნარ-ჩვევების განვითარებას, ისე ცხოვრების ჯანსაღი წესის, ჰიგიენის ნორმებისა და პირადი უსაფრთხოების საბაზისო ნორმების სწავლებას. ბაქსვუდის ბრიტანულ სკოლასთან თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება სპორტული კონცეფციის მუდმივ განახლებას და განვითარებას უზრუნველყოფს. • ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ინოვაციების პროგრამა - 2022-2023 სასწავლო წელს ამ მიმართულებით სკოლა აგრძელებს მომავლის პროფესიების პროგრამის სწავლებას ისტ-ის საფუძვლებთან ინტეგრირებით. აღნიშნული მიმართულება მოიცავს შემდეგ ინტენსიურ კურსებს: 3D მოდელირება, 3D ბეჭდვა, მიკროელექტრონიკა, დაპროგრამება (Scratch), რობოტიკა. 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში, „მომავლის პროფესიების" პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	ხორციელდება I-VI კლასებში ძირითადი საათობრივი ბადის ფარგლებში, ხოლო VII კლასიდან არჩევითი კლუბის სახით. • მოქალაქეობა - სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე ფუნქციონირებს ბრიტანული ჰაუსის მოდელით, რომლის საკვანძო მიმართულება არის სამოქალაქო აღზრდა. • მეორე უცხოური ენა - სკოლა მოსწავლეებს მესამე კლასიდან სთავაზობს არჩევანს ფრანგულ და გერმანულ ენებს შორის. • წინასაბაკალავრო პროგრამა • წინა საბაკალავრო პროგრამა - ბაქსვუდის უმაღლესი სკოლის მნიშვნელოვანი პროგრამაა, რომელიც ინტენსიური მომზადებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღებით, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს ამზადებს გამოცდების, სტუდენტური ცხოვრებისა და მომავალი პროფესიული კარიერისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული I-V კლასების დაზუსტებული სადამრიგებლო და VI-XII ჰაუსმასტერების პროგრამების აქტივობების მიზნები ორიენტირებულია სკოლის მისიის მიღწევაზე. (ჰაუსმასტერები არიან სკოლის აკადემიური დირექტორის თანაშემწეები, ჰაუსების ცხოვრების ეფექტურად წარმართვაში, ხოლო ჰაუსი არის მოსწავლეთა კონკრეტული სახელის მატარებელი გუნდი, რომელიც აერთიანებს მოსწავლეებს VII-დან XII კლასის ჩათვლით. VI კლასი წარმოადგენს მოსაზმადებელ პერიოდს ჰაუსური ცხოვრებისათვის.). დაწესებულების დირექცია და მასწავლებლები გასაუბრებისას აღწერენ პროგრამის ძლიერ მხარეებს, განხორციელებულ ან მიმდინარე სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობასა და მოსწავლეებთან მიღებულ შედეგებს. მიაჩნიათ, რომ სკოლა ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების/პროგრამების წარმატებული ინტეგრირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • სკოლის დირექციასთან გასაუბრება; • სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის საათობრივი ბადე შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 15 აგვისტოს MES 3 22 0000907107 წერილის (შემდეგში სამინისტროს თანხმობის წერილი) გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც „...სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი გაეცნო შპს "ბაქსვუდის საერთასორისო სკოლა - თბილისის" მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის პროექტს და თანდართულ ინფორმაციას. როგორც კორესპონდენციიდან ირკვევა, სკოლაში სრულად აღდგება ჰაუსების პროგრამა და ცვლადი საგნობრივი კლასების/განაყოფების პრინციპი; საგანი "მოქალაქეობა" ისწავლება მე-9, მე-10 და მე-11 კლასებში, ხოლო მე-7 და მე-8 კლასებში საგნის მოდული ინტეგრირებულია ჰაუსმასტერების სამოქალაქო აღზრდის პროგრამაში, რაზეც სკოლას მიღებული აქვს სამინისტროს თანხმობა; დამატებით მომსახურებად რჩება წინასაბაკალავრო პროგრამის კომპონენტები, „მომავლის პროფესიებისა“ და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებული და გაძლიერებული სწავლება და უცხოური ენის - ინგლისურის გაძლიერებული პროგრამა. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა ასევე გეგმავს მათემატიკის სწავლების გაძლიერებას - სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლასთან თანამშრომლობის ფარგლებში, საბაზო და საშუალო საფეხურებზე შეიქმნება ე.წ. კომაროვის განაყოფები, რომლებიც მათემატიკას გაძლიერებული, კომაროვის მეთოდოლოგიაზე დამყარებული პროგრამით შეისწავლიან. გარდა ამისა, სკოლაში შეიქმნება საოლიმპიადე ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისაგან დაკომპლექტდება და მსურველ მოსწავლეებს მოამზადებს შიდა თუ საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის. ... ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ სკოლამდელი და ზოგადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	განათლების განვითარების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი, შპს "ბაქსვუდის საერთასორისო სკოლა - თბილისის" დირექციამ სასწავლო პროცესი წარმართოს წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის მიხედვით. ...” წარმოდგენილი საათობრივი ბადით, გარდა სამინისტროს თანხმობის წერილში დასახელებული VII და VIII კლასების საგნის - მოქალაქეობისა, დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო, საშუალო საფეხურზე სავალდებულოდ არჩევითი და სკოლის მიერ შემუშავებული საგნების სწავლება. საათობრივი დატვირთვა უმეტესად გაზრდილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში: ინგლისურ ენაში, მათემატიკასა და ფიზიკური აღზრდა/სპორტში. საშუალო საფეხურზე სავალდებულო არჩევით საგნებად სთავაზობს: გარემო და მდგრადი განვითარება, ეკონომიკა და სახელმწიფო და სკოლის მიერ შემუშავებულ - წინასაბაკალავრო პროგრამას. სკოლის მიერ შემუშავებულ საგნებს: ტუტორის საათი (I-III კლასებში), ჭადრაკი (I-IV კლასებში), ლოგიკა და სახალისო მათემატიკა (I-V კლასებში), მომავლის პროფესიები/ინფორმატიკა (I-VI კლასებში), Speaking & Listening (II-XII კლასებში). ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული სასკოლო საათობრივი ბადით დადგენილი საგნების შინაარსის სწავლება მიმდინარეობს გრიფირებული და ალტერნატიული სახელმძღვანლოებით. ალტერნატიული სახელმძღვანელოები გამოიყენება უცხოურ ენებში, რაც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. აღნიშნულ სახელმძღვანელოებისა და დამატებითი ლიტერატურის შინაარსზე დაყრდნობით, სკოლაში შექმნილ დეპარტამენტებში გაერთიანებული მასწავლებლები შეიმუშავებენ თემატურ-კალენდარულ გეგმებს და მიზნად ისახავენ საგნის საფეხურის შედეგების მიღწევას, სხვადასხვა რესურსისა თუ ინტერაქტიური სასწავლო მეთოდების გამოყენებით. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული I-V კლასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	დაზუსტებული სადამრიგებლო და VI-XII ჰაუსმასტერების პროგრამების აქტივობების მიზნები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამრიგებლის მუშაობის წარმართვის პრინციპებზე. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების ინტერესების დასაკმაყოფილებლად, 2022-2023 სასწავლო წელს შეთავაზებული იქნება 17 არჩევითი კლუბი ესთეტიკური აღზრდის, სპორტის, საზოგადოებრივი და ზუსტი მეცნიერებებისა და ინფორმაციული და საკომუნკაციო ტექნოლოგიების მიმართულებებით. სკოლის მოსწავლეები გასაუბრებისას აღწერენ ჰაუსების სიტემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობას. აღნიშნავენ, რომ აღნიშნული სისტემის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოება აკადემიური შედეგებისა თუ ერთმანეთზე ზრუნვის მიმართულებით. მუდმივად აქვთ საგნის მასწავლებლების მხრიდან სწავლაში დახმარების იმედი. მოსწავლეების მშობლები გასაუბრებისას აღწერენ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ძლიერ მხარეებს. ხაზგასმით აღნიშნავენ სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მზადყოფნას მოსწავლის შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით. ამბობენ რომ მათგან განსხვავებით მათი შვილები უფრო საინტერესოდ სწავლობენ და ნდობას უცხადებენ სკოლაში მიმდინარე სწავლა-სწავლების პროცესს. სხვადასხვა დეპარტამენტის წევრი მასწავლებლები აღწერენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევის ხელშემწყობ სასკლასო, სასკოლო თუ კლასგარეშე აქტივობებს. ჰყვებიან მათში მოსწავლეების აქტიური ჩართულობის მაგალითებს. საუბრობენ საგნისა თუ თემების სწავლების პრინციპებზე. მიაჩნიათ, რომ ბაქსვუდის სკოლა ყოველწლიურად უმეტესად აღწევს დასახულ მიზნებს, ხელს უწყობს სხვადასხვა იდეის განხორციელებას მოსწავლეების საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სკოლის შენობის დათვალიერების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ე.წ. აქტიური სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	პრინციპებზე. აღწერილიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება; • სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება; • სკოლის მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით „... 1. თანამედროვე, ღირსეული, აქტიური და წარმატებული მოქალაქის აღზრდისათვის აუცილებელია მკაფიო ინდივიდუალიზმის, ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და მრავალფეროვან გარემოში სოციალიზაციის უნარების განვითარება ... ... 2. ქართული თუ უცხოური სპეციალიზებული სწავლების გამოცდილებამ (ე.წ. "gifted education"[1]) აჩვენა, რომ ზოგიერთი საგნისათვის სწავლების ეფექტურობა დაკავშირებულია მსგავსი აკადემიური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა დაჯგუფებასთან, ხოლო სხვების შემთხვევაში, ამას ზიანი მოაქვს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური განვითარების თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, სკოლის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, აკადემიური პრინციპით დაყოფა გავრცელდება მხოლოდ მათემატიკასა და უცხოურ ენაზე; 3. მოზარდისათვის აუცილებელია სტაბილური მიკუთვნებულობის განცდა რაიმე სოციალურ ჯგუფთან და სიმბოლოებთან. მოსწავლეთა ამ საჭიროების სრულად და ეფექტურად შევსებას სკოლის ჰაუსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	მოდელი ახდენს, რომელსაც თავად მოსწავლეები წარმართავენ ჰაუსმასტერების, ე.წ. ლიდერების კოორდინაციით ...“ გარდა ეროვნული სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების გამოყენებისა, ზემოთაღწერილის გასახორციელებლად, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს „საგნობრივი კლასებით“ სწავლების მიდგომას, რომელიც ეფუძნება საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონში მოცემულ განმარტებას „კლასის“ შესახებ და წარმოადგენს მოსწავლეთა ჯგუფს, რომელიც შექმნილია კონკრეტულ საგანთა ჯგუფის ფარგლებში. მაგალითად, ახალი სასწავლო წლისათვის სკოლას ჰყავს 3 პარალელური კლასი მე-8 კლასში, თითოეულში 20 მოსწავლით. აღნიშნული 60 მოსწავლე ყველა საგნობრივ ჯგუფში გადანაწილდება სხვადასხვა შემადგენლობით, ისე რომ ერთ ჯგუფში მაქსიმალური ოდენობა არ აჭარბებდეს 20 მოსწავლეს (რათა დაცული იყოს სკოლის კონსტიტუციითა და ავტორიზაციის დოკუმენტით დათქმული მაქსიმალური ოდენობა). შესაბამისად, თუ საბუნებისმეტყველო საგნებში, მე-8 კლასის ერთი ჯგუფი (სახელად „კოპერნიკი“ ან „აინშტაინი“) ქიმიაშიც, ფიზიკაშიც და ბიოლოგიაშიც ერთი შემადგენლობით მონაწილეობს, ქართულ ენასა და ლიტერატურაში - იგივე 60 მოსწავლე სხვა 20-20 ბავშვიან ჯგუფებად ყალიბდება და ახალი საგნობრივი კლასის ფორმით (სახელად „გალაკტიონი“, „რუსთაველი“ ან სხვა) მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. საგნობრივი კლასების პრინციპი ვრცელდება შემდეგ დეპარტამენტებზე: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურისა, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ტექნოლოგიებისა და ესთეტიკური აღზრდის. რაც შეეხება უცხოურ ენებსა და სპორტს, ამ საგნებში კვლავ 2022-2023 სასწავლო წლამდე არსებული განაყოფების პრინციპი იმოქმედებს. საგნობრივი მიმართულებების მიხედვით მოსწავლეთა გადანაწილების კრიტერიუმები ორგვარია: მათემატიკის კლასებსა და უცხოური ენების განაყოფებში, მოსწავლეები აკადემიური მიღწევების მიხედვით იქნებიან განაწილებული, ხოლო დანარჩენ საგნებში - სხვადასხვა ჰაუსის მაქსიმალური შერევითა და გენდერული ბალანსის გათვალისწინებით. თემატურ-კალენდარულ გეგმებში ვხვდებით ინტერაქტიური წავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	პრინციპებს. მოსწავლეების შედეგების ანალიზის ფორმების შინაარსით ჩანს, რომ მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეებთან მიღწეულ შედეგს. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გასავითარებელ მხარეებზე მუშაობის პროცესი მიზნად ისახავს ხელი შეეწყოს მოსწავლის მიერ საკუთარი აკადემიური შესაძლებლობების გააზრებას. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული I-V კლასების დაზუსტებული სადამრიგებლო და VI-XII ჰაუსმასტერების პროგრამების აქტივობების მიზნები ორიენტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენასა და მათ განვითარებაზე. ჰაუსმასტერების ძირითადი ფუნქციაა მოსწავლეებს შორის ჯანსაღი და მეგობრული გარემოს შექმნა ცოდნის მიღებისა და ინდივიდუალური პოტენციალის გამვლენის მოტივაციის გაზრდისთვის.. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია სპეციალურ საგანმანათლებლო მოსწავლესთან მუშაობის გეგმა. სკოლის დირექციასთან თუ მასწავლებლებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას უკვე აქვს მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება სსსმ მოსწავლეებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბების კუთხით. საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში, სკოლაში ირიცხებოდა 7 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომლებსაც 2022-2023 სასწავლო წლიდან გაეწევათ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინკლუზიური განათლების შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება. სკოლა მხარს უჭერს სასწავლო პროცესში სხვადასხვა ინტერაქტიური საგანმანათლებლო რესურსის გამოყენებას და 2022-2023 სასწავლო წლიდან იგეგმება ინოვაციური მოწყობილობები, VR და AR ტექნოლოგიების, 3D პრინტერების, რობოტების, 3D კალმების, სხვადასხვა აპლიკაციის დანერგვა და გამოყენება სასწავლო პროცესში. მოსწავლეები გასაუბრებისას აღწერენ სხვადასხვა მათთვის საინტერესო ინტერაქტიულ გაკვეთილსა და საკლასო თუ ჰაუსების მიერ განხორციელებულ სასკოლო აქტივობას. ფიქრობენ, რომ სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეიძლება მასწავლებლების მოსწავლეებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება ჩაითვალოს, რომლებიც სასწავლო პროცესისათვის პოზიტიურ გარემოს ქმნიან. აღნიშნავენ, კლასის კლასის ტუტორებისა და ჰაუსმასტერების როლს კონკრეტული ინდივიდუალური საჭიროებების მოგვარებაში. მშობლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ სკოლის დირექცია და მასწავლებლები ცდილობენ კარგად გაიცნონ მოსწავლეები, დაუხალოვდნენ მათ, განუმარტონ საგნის სწავლის საჭიროება და კონკრეტულ შემთხვევებში ოჯახის წევრების ჩართულობით გადაჭრან ესა თუ ის პრობლემა. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ბაქსვუდელი ყველა მოსწავლე ინდივიდუალურია და საუბრობენ მათთან თანამშრომლობით მიღებულ შედეგებზე. აკეთებენ აქცენტებს მოსწავლეების საჭიროებებსა და მათი გადაჭრის აუცილებლობაზე. აღწერილიდან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი საშუალება ექნებათ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განმხორციელებელი ჯგუფის ანგარიში; • სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება; • სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება; • სკოლის მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება; • სკოლის დირექციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებში და V კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

მიმოხილვა და ანალიზი	პირველ სემესტრში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. აღსანიშნავია, სკოლის შეფასების სისტემის შემდეგი სპეციფიკა: V კლასის მეორე სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით მოსწავლეები ფასდებიან ათქულიანი სისტემით, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ხუთი დონის ნაცვლად გადანაწილებულია ექვს დონედ. კერძოდ, 10 ქულა (A+) - ძალიან კარგი, უმაღლესი შეფასება; 9 ქულა (A) - კარგი, მაღალი შეფასება; 8 ქულა (B) - საშაულოზე მაღალი; 7 ქულა (C) - საშუალო; 6 ქულა (D) - დამაკმაყოფილებელი; 5, 4, 3, 2 და 1 ქულა (F) - არადამაკმაყოფილებელი. ეროვნული სასწავლო გეგმის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტზე დაყრდნობით კლასისა და საფეხურის ქულად დადგენილია 6 ქულა. წლიური არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, მოსწავლეს ენიშნება წლიური საშემოდგომო გამოცდა საბოლოო შეფასებების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში. საშემოდგომო გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში საშუალო საფეხურის მოსწავლე ავტომატურად ტოვებს სკოლას, ხოლო საბაზო საფეხურის მოსწავლე კი კლასს გადის ხელმეორედ. ჩაჭრილი მოსწავლისათვის დამატებითი შანსის მიცემის საკითხს, ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, გენერალურ დირექტორთან შეთანხმებით, განსაზღვრავს სკოლის აკადემიური დირექტორი. საგნის წლიური შეფასება V-VIII კლასებში შედგება 2 თანაბარმნიშვნელოვანი კომპონენტისაგან: I სემესტრის ქულა (გარდა V კლასისა) და II სემესტრის ქულა. წლიური შეფასება გამოითვლება აღნიშნული 2 კომპონენტის ჯამის 2-ზე გაყოფით (V კლასის შემთხვევაში მეორე სემესტრის ქულა ავტომატურად ხდება წლიური შეფასება), ხოლო IX-XII კლასებში შედგება 3 თანაბარმნიშვნელოვანი კომპონენტისაგან: I სემესტრის ქულა; II სემესტრის ქულა და წლიური გამოცდა. წლიური შეფასება გამოითვლება აღნიშნული 3 კომპონენტის საშუალო არითმეტიკულით. IX-XII კლასებში წლიური გამოცდები ინიშნება ყველა საგანში, რომლებშიც გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება და რომლებიც ისწავლება მთელი წლის მანძილზე და არა ერთი სემესტრით. ეროვნული სასწავლო გეგმის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტზე დაყრდნობით, სემესტრის ქულა შედგება ორი თანაბარმნიშვნელოვანი კომპონენტისაგან: შემაჯამებელი დავალებების ქულათა საშუალო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	არითმეტიკული და მიმდინარე ნიშნების საშუალო არითმეტიკული. სემესტრის საბოლოო ქულა გამოითვლება აღნიშნული ორი კომპონენტის ჯამის 2–ზე გაყოფით. მიმდინარე ნიშნებში იგულისხმება საკლასო და საშინაო დავალება. დეპარტამენტებში გაერთიანებული მასწავლებლებს შემუშავბეული აქვთ მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები თემის შესაბამისი კრიტერიუმებით. მიმდინარეობს შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და განისაზღვრება შედეგების გაუმჯობესებების მიდგომები. სკოლა გეგმავს მომდევნო სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამაბელი დავალებების ფორმების გამოყენებას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის (2022-2028 სასწავლო წლებისთვის) (შემდეგში სკოლის განვითარების გრძელვადიანი გეგმა) ერთ-ერთი ამოცანაა მოსწავლეთა აკადემიური შედეგების, შემაჯამებელი დავალებების დინამიკისა და საჭიროებათაკომპლექსური შეფასება და ანგარიში. მოსწავლეები გასაუბრებისას აღწერენ შეფასების კრიტერიუმების განხილვაში მათი ჩართულობის მაგალითებს. ამბობენ რომ იციან რაში და როგორ ფასდებიან. მოსწავლეების მშობლები აღნიშნავენ, რომ ბავშვებს იშვიათად აქვთ შეფასებასთან დაკავშირებული კომენტარები და როცა აქვთ, მასწავლებლებთან შედეგების განხილვის შესაძლებლობა ეძლევათ. მასწავლებლები კი აღნიშნავენ მოსწავლისათვის განმავითარებელი შეფასების მიცემის მნიშვნელობასა და მის გავლენაზე მოტივაციის ზრდის მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა; • შემაჯამაბელი დავალებების ანალიზები; • სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება; • სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	• სკოლის მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება; • სკოლის დირექციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ ინფორმირებასა და მოსწავლეთა საჭიროების გადაჭრისას სთავაზობს თანამშრომლობას. სკოლის განვითარების გრძელვადიანი გეგმის ამოცანებია: შიდა შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა-გამრავალფეროვნება, მათ შორის უკუკავშირის კვლევის სისტემატიზაცია, როგორც მოსწავლეთა, ასევე მშობელთა და მასწავლებელთა მიმართულებით. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა მენტალურ მხარდაჭერაზე მიმართული აქტივობების განხორციელება ფსიქო-სოციალური მომსახურების პროვაიდერ ორგანიზაციებთან პარტნიორობით (შპს „არს ვივენდი“, შპს ფილიპ პომელის ცენტრი“, შპს „თამარ გაგოშიძის ნერიოფსიქოლოგიური განვითარების ცენტრი“). სკოლის დირექციის განმარტებით აღნიშნული ამოცანები უკვე ხორციელდება, რაც დაწესებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. აქედან გამომდინარე ასახულია შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის განვითარების ერთწლიან სტრატეგიულ გეგმაშიც (2022-2023 სასწავლო წლისათვის) (შემდეგში სკოლის განვითარების ერთლწლიანი სტრატეგიული გეგმა). გარდა ამისა, გეგმის მიხედვით იგეგმება მშობელთა ინფორმირება წინასაბაკალავრო პროგრამის მრჩევლის ფუნქციების შესახებ. აღნიშნული ორი დოკუმენტით დასახული ამოცანების შეფასების ინდიკატორებად მითითებულია მოსწავლეების მშობლების გამოკითხვის შედეგები. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით, კლასის კოორდინატორის/ტუტორის მოვალეობებით განსაზღვრულია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური შედეგებისა თუ ქცევის შესახებ.ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია მშობელთა ღია კარის დღის თარიღები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	- სასწავლო წლის განმავლობაში ოთხჯერ. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის შინაგანაწესის (შემდეგში შინაგანაწესი) ცალკეული მუხლები აღწერს ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და მათი კომუნიკაციის მიზნებს მშობლებთან. სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოების წვერებს ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ეძელევათ სკოლის ვებ გვერდის ან სოციალური ქსელის საშუალებით. ვებ გვერდსა და სოციალურ ქსელზე განთავსებულია სასკოლო ცხოვრების ამსახველი სხვადასხვა ტექსტობრივი, ფოტო და ვიდეო მასალა. მოსწავლეები გასაუბრებისას აღნიშნავენ მშობლებმა იციან მათი შეფასებებისა და ქცევის შესახებ. სკოლა მშობელთა ინფორმირებისათვის იყენებს იყენებს ელექტრონულ ჟურნალ „სქულბუქს“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა; • შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის განვითარების ერთწლიან სტრატეგიულ გეგმა; • შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის შეინაგანაწესი; • სქულბუქთან გაფორმებული ხელშეკრულება; • სკოლის მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება; • სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება; • სკოლის დირექციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლის გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიული გეგმების ამოცანებს წარმოადგენს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ხელშეწყობა და მისი ხარისხის განვითარება, მიმდინარე პროცესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

მიმოხილვა და ანალიზი	შესწავლით, სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარებით და მოსწავლეების მშობლების ჩართულობით. შინაგანაწესი მესამე თავით განსაზღვრულია სკოლის „... აკადემიურ-ადმინისტრაციულ მოწყობა და მმართველობის სისტემა და მმართველობის სტრუქტურა ...“ აღნიშნულ თავში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების კონკრეტული ფუნქციები სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და შემდგომ გაუმჯობესებაზე ზრუნვას წარმოადგენს. ამავე თავის მე-15 მუხლით განსაზღვრულია საგნობრივი დეპარტამენტების ფუნქციები, სადაც კონკრეტდება ის მიმართულებები, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას ემსახურება. აღნიშნული დეპარტამენტების წევრები, სემესტრის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ იკრიბებიან, რათა შეაფასონ განხორციელებული სწავლებისა და შეფასების პროცესი და იმსჯელონ კონკრეტული საჭიროების შესაბამის პრევენციულ აქტივობებზე. საგნობრივი დეპარტამენტების სხოდმის ოქმებსა და დეპარტამენტის ხელმძღვანელების მიერ მომზადებული ანგარიშების შინაარსები აღწერს სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელების ხელშემწყობ შინაარსებს. სასწავლო დღის დაწყებამდე, სკოლის აკადემიური დირექტორი, სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი და დაწყებითი საფეხურის კოორდინატორი, ხვდებიან აკადემიური მენეჯმენტისა და ადმინისტრაციის წევრებს და განვლილი სასწავლო დღის შეფასების საფუძველზე, გეგმავენ მიმდინარე სასწავლო დღეს, რათა თავიდან იქნას აცილებული პროცესის სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შემაფერხებელი ფაქტორები. საგნობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ იციან სასკოლო სასწავლო გეგმით დაგეგმილი სასწავლო პროცესის სპეციფიკა და მაქსიმალურად ცდილობენ იყვნენ მის განხორციელებაზე ორინეტირებულები. მოსწავლეების მშობლები აღნიშანვენ, რომ სკოლის კოლექტივი ცდილობს გაითვალისწინოს სასწავლო პორცესთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	უკუკავშირი და უმეტეს წილად აქვთ სიახლეების მოლოდინი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა; • შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის განვითარების ერთწლიან სტრატეგიულ გეგმა; • შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის შეინაგანაწესი; • სკოლის მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება; • საგნობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელბთან გასაუბრება; • საგნობრივი დეპარტამენტების სხოდმის ოქმები; • საგნობრვი დეპარტამენეტების ხელმძღვანელების ანგარიშები; • სკოლის დირექციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით მდებარეობს ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქუჩა 52-ში. საკუთრებაში ფლობს ამავე მისამართზე არსებულს 7376.00 კვ.მ. (ს.კ. N01.02.01.140.044 – 2376.00 კვ.მ. და ს.კ. N01.20.01.140.056 – 5000.00 კვ.მ) მიწის ფართობსა და მასზე არსებულ 2558.5 კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობებს, ხოლო შპს ბაქსვუდის საერთაშორისო დაწყებითი სკოლა - თბილისისგან იჯარით აქვს აღებული 6905.00 კვ.მ. მიწის ფართობი და მასზე არსებული 1658.65 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს.კ. N01.20.01.140.054), აღნიშნული იჯარა შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის“ 2019 წლის 12 ივლისის პარტნიორთა შეთანხმების ოქმის 3.1. პუნქტის მიხედვით იჯარით სარგებლობაში გადასცემს არანაკლებ 50 წლის ვადით. ვიზუალური დათვალიერებით აღნიშნულ მიწის ფართობზე დგას 5 შენობა-ნაგებობა, საიდანაც სამი მოქმედია და წლების განმავლობაში ხორციელდება სასწავლო პროცესი, ერთი გამოიყენება სათავსოდ, ხოლო მეხუთე შენობა ნაგებობა შედგება ორი ბლოკისგან, რომლიდანაც ერთი ე.წ. სასწავლო ბლოკია, ხოლო მეორე სპორტული დარბაზი. აღნიშნული შენობა-ნაგებობა არ არის საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული, რისი საფუძელიც მშენებარე სპორტული დარბაზია. სასწავლო ბლოკი ე.წ. მწვანე კარკასის მდგომარეობაშია და მიმდინარეობს შიდა სივრცის მოწყობა. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისსა და შპს კუბს შორის (სამშენებლო კომპანია), 2021 წლის 26 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1. პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულება მოქმედებს ვალდებულებების სრულად შესრულებამდე. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა შპს კუბის მიერ 2022 წლის 20 აგვისტოს გაცემული ობიექტზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების განრიგი, რომლის მიხედვითაც სამღებრო სამუშაოები უნდა დასრულდეს 2022 წლის 23 აგვისტოს; იატაკის მოწყობა 2022 წლის 05 სექტემბერს; კარის მონტაჟი 2022 წლის 10 სექტემბერს; სველი წერტილების მოწყობა 2022 წლის 01 სექტემბერს; კიბის უჯრედის მოწყობა 2022 წლის 12 სექტემბერს; საკლასო ოთახების მერხებითა და დაფებით აღჭურვა 2022 წლის 13 სექტემბერს; საკლასო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	ოთახების პროექტორებით, კომპიუტერებითა და თემატური სასწავლო ინვენტარით აღჭურვა 2022 წლის 14 სექტემბერს; სივრცის დასუფთავება 2022 წლის 14 სექტემბერს. რაც შეეხება სპორტულ დარბაზს, ამოყვანილია კედლები და აწყობილია სახურავის კონსტრუქცია. დირექციამ წარმოადგინა ახალისაქქალაქმშენპროექტის საკონსტრუქტორო განყოფილების მთავარი სპეციალისტის 2022 წლის 16 აგვისტოს მომზადებული საექსპერტო დასკვნა სასწავლო ბლოკის ფუნქციონირების შესაძლებლობაზე სპორტული ბლოკის მშენებლობის პროცესში, რომლის მიხედვითაც „ ... სასწავლო ბლოკის ფუნქციონირება სპორტული ბლოკის მშენებლობის პროცესში ცალსახად დასაშვებია, ოღონდ ამ შემთხვევაში ამ ორი ბლოკის დამაკავშირებელი ღიობი (კარი) უნდა იყოს დალუქული, ამავე დროს უნდა განხორციელდეს მკაცრი კონტროლი სპორტული დარბაზის ძირითად დამოუკიდებელ კარზე და მიმდებარე ტერირიაზე. ...“ დაწესებულებამ წარმოადგინა „სამშენებლო ობიექტზე სპორტული დარბაზის ძირითად დამოუკიდებელ კარზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ზედამხედველი პირის დანიშვნის შესახებ“ შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის გენრალური დირექტორის 2022 წლის 18 აგვისტოს N22-23/020 ბრძანება. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პროცესისათვის პირობითად პირველი შენობის (2558.5 კვ.მ.) პირველ სართულზე მოწყობილია ადმინისტრაციის სივრცე, მოსასვენებელი სივრცე (ე.წ. ლაუნჯი), ქიმიის ლაბორატორია, საკონფერენციო დარბაზი სცენით, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო და 2 სათავსო. მეორეზე - ტექნიკური დირექტორის, შეხვედრებისა და 10 საკლასო ოთახი, სველი წერტილები გოგონების, ვაჟებისა და თანამშრომლებისათვის. მესამეზე - გენერალური დირექტორის, აკადემიური დირექტორის, ექიმისა და 10 საკლასო ოთახი, სველი წერტილი გოგონებისთვის. მეოთხეზე - ადმინისტრაციის, ინოვაციების ლაბორატორიის, ჰაუსმასტერესების, სათავსო და 10 საკლასო ოთახი, სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. მეორე შენობა ოთხსართულიანია (1658.65 კვ.მ.), რომლის პირველ სართულზე მოწყობილია სპორტული დარბაზი, გასახდელები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	სპორტის გაკვეთილის ოთახი. მეორე სართულზე სასადილო, მესამე სართულზე მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლის ოთახები, რომელიც გამოიყენება საზაფხულო სკოლის მოსწავლეებისათვის, ხოლო მეოთხე სართულზე გაუტიხრავი ერთიანი სივრცეა. მესამე შენობა ერთსართულიანია და გამოიყენება სათავსოდ. მეოთხე შენობა ორსართულიანია (2599.00 კვ.მ.), რომელიც მოწყობილია სკოლამდელი აღზრდის პროგრამისათვის. იყენებენ სკოლის სასადილოს. აქვს ცალკე იზოლირებული შემოსასვლელი სკოლის ეზოში. მეხუთე შენობა სამსართულიანია (1700.00 კვ.მ.), რომელშიც მოეწყობა დაწყებითი განათლების კოორდინატორის, შეხვედრებისა და 20 საკლასო ოთახი. სველი წერტილები, სამასწავლებლო, ტერასა საერთო შეხვედრებისა და ღონისძიებებისთვის. დამონტაჟებულია ლიფტი. პირველზე კოორდინატორი, სამასწავლებლო, 4 საკლასო ოთახი. მეორე და და მესამეზე 8-8. საკუთრება და იჯარით აღებული ტეროტორია და შენობა-ნაგებობები მოქცეულია ღობით შემოსაზღვრულ ეზოში. აქტიური გადაადგილების ზონების მიწის ზედაპირი დაფარულია ცემენტის საფარიანი ბილიკებით. მოწყობილია 2 სპორტული მოედანი, ცხენების საჯინიბო, გადახურული სივრცეები გაკვეთილებისთვის.
ფაქტობრივი მისამართი	**ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, რუსთაველის 52.**
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**01.20.01.140.044** **01.20.01.140.054** **01.20.01.140.056**
კვ.მ.	**2376.00 კვ.მ. - ს.კ. N01.20.01.140.044 (საკუთრება)** **6905.00 კვ.მ. - ს.კ. N01.20.01.140.054 (იჯარა)** **5000.00 კვ.მ. - ს.კ. N01.20.01.140.056 (საკუთრება)**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერები საჯარო რეესტრიდან; • შიდა აზომვითი ნახაზები; • შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისსა და შპს კუბს შორის (სამშენებლო კომპანია), 2021 წლის 26 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება; • სამშენებლო პროექტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	• შპს კუბის მიერ 2022 წლის 20 აგვისტოს გაცემული ობიექტზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების განრიგი; • ახალისაქქალაქმშენპროექტის საკონსტრუქტორო განყოფილების მთავარი სპეციალისტის 2022 წლის 16 აგვისტოს მომზადებული საექსპერტო დასკვნა; • „სამშენებლო ობიექტზე სპორტული დარბაზის ძირითად დამოუკიდებელ კარზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ზედამხედველი პირის დანიშვნის შესახებ“ შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის გენრალური დირექტორის 2022 წლის 18 აგვისტოს N22-23/020 ბრძანება; • სკოლის დირექციასთან გასაუბრება; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა 2022-2023 სასწავლო წლის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესისათვის გეგმავს ზემოდასახელებული პირველი, მეორე და მეხუთე შენობა-ნაგებობების გამოყენებას, რისთვისაც პირველ შენობაში მოწყობილია 32, ხოლო მეხუთე მოეწყობა 20 საკლასო ოთახი. სკოლას სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის პირველი შენობის ყველა საკლასო ოთახში აქვს დაფა, პროექტორი, პროცესორი და სხვა დამხმარე ინვენტარი, ხოლო ახალი შენობისათვის წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტაცია. სკოლას აქვს 1120-ზე მეტი ინდივიდუალური მერხი და სკამი. კლასში მოსწავლეთა რაოდენობა განსზღვრულია 20 მოსწავლით. სკოლას ავტორიზაციის ვიზიტისისას ჰყავდა 621 მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მერხებისა და სკამების ფლობის დოკუმენტაცია; • დაფების ფლობის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ერთ-ერთი პრიორიტეტული საგობრივი მიმართულების ეფექტიანად განხორციელებისათვის სკოლის ტერიტორიაზე მდგარ ე.წ. მეორე შენობაში მოწყობილია სპორტული დარბაზი გასახდელებით. სკოლის ეზოში მოწყობილია ორი სპორტული მოედანი. მიმდინარეობს ერთი სპორტული დარბაზის მშენებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სპორტული ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია; • სამშენებლო პროექტი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების თანამედროვე ლაბორატორიები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია მდებარეობს პირველ სართულზე, აქვს ფანჯარა ბუნებრივი ვენტილაციისათვის, 4 ონკანი ნიჟარით და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ტექნიკური საშუალებებით (კომპიუტერი, პროექტორი) და სასწავლო რესურსით. იზოლირებულ, ჩამკეტიან კარადებში განთავსებულია ლაბორატორიის სრული აღჭურვილობა, ბიოლოგიის (ანატომიის) მულაჟები, ფიზიკის თანამედროვე მაკეტები და ქიმიის რეაქტივები. კაბინეტში დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოების ზომები და გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. გარდა ამისა, მოსწავლეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ვირტუალური ლაბორატორიითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	მესამე სართულზე განთავსებული კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია და ინოვაციური სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით და მოწყობილია მომავლის პროფესიების პროგრამის შესაბამისად. აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ლაბორატორიით სარგებლობის წესი; • ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულება სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის უზრუნველყოფილია ელექტრო ენერგიის, გაზის და წყლის მუდმივი მიწოდებით. სკოლის მთელ ტერიტორიაზე დამონტაჟებულია 152 ერთეული მზის პანელი, ცენტრალური გათბობის სისტემა, ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. სასწავლო ფლიგელის ყველა სართულზე ცალ-ცალკე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის (სულ 12 წერტილი, მათ შორის იზოლირებული 2 სველი წერტილი სსსმ მოსწავლეთათვის). სველ წერტილებში არის ონკანები ნიჟარებით და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები (მომარაგებულია თხევადი საპნითა და ხელის საშრობი ქაღალდის დისპანსერებით, თავსახურიანი ურნებით).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დენის, გაზის და წყლის გადახდის ქვითრები გადმოგზავნილია; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ნულოვან სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკის წიგნადი საცავი და სამკითხველო. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 3363 წიგნს, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, დალაგებულია თემატურად, აღრიცხულია საინვენტარო წიგნში და exel-ის ფაილში. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული, სამეცნიერო და დამხმარე ლიტერატურა ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო პერიოდული გამოცემები და მეთოდური მასალები. ბიბლიოთეკაში არის 1 პერსონალური კომპიუტერი და ინტერნეტით სარგებლობის საშუალება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკარის ხელშეკრულება; • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები: მიღება-ჩაბარების აქტები, შესყიდვის დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება; • საბიბლიოთეკო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია; • ბიბლიოთეკის დებულება; • დოკუმენტი - „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“; • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი; • მკითხველთა ფორმულარები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐დარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები სწავლებისა და განვითარების თანაბარი პირობების შექმნის საშუალებას იძლევა სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებთან . შენობის პირველ და მეორე სართულზე შექმნილია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. აღნიშნულ სართულებზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, საკლასო, შეხვედრებისა და საპრეზენტაციო ოთახები. სკოლა აქვს მოსახსნელი პანდუსები, 2 ერთეული ადაპტირებული სველი წერტილი ეტლით მოსარგებლე შშმ პირისთვის. სკოლას ამ ეტაპზე შშმ მოსწავლე არ ჰყავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მიღება-ჩაბარების აქტები.; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის სკოლას ყველა პირობა აქვს შექმნილი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში არის შიდა ქსელსა და ინტერნეტში ჩართული 20 ერთეული კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი და ქსეროქსი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით და პროექტორით. გარდა ამისა, სკოლას აქვს 18 ერთეული კომპიუტერი (პროცესორი და მონიტორი) და 22 ერთეული ლეპტოპი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	სკოლის ვებ-გვერდი (https://buckswood.ge//) ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. სკოლაში მოქმედებს ელ. ჟურნალი, რომელიც ხელმისაწვდომია მშობლისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება; • ელ. ჟურნალის ვიზუალური დათვალიერება; • მომსახურების ხელშეკრულებები; • საგადახდო დავალებები; • კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების 2 სპეციალისტი და აქვს საევაკუაციო გასასვლელი. ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები (10 ერთეული), შექმნილია საგანგებო სიტუაციებში რეაგირების ჯგუფები, რომელთაც სკოლაში მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვა ევალება. შინაგანაწესით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პასუხისმგებლობები, რომელიც ვალდებულია იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე, საფრთხის შემცირებაზე, საფრთხის შემცველი წყაროების აღმოფხვრაზე, თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკის შემუშავებაზე, დასაქმებულებისათვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, მოსწავლეები წელიწადში ორჯერ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ზედამხედველობითა და ჩართულობით გადიან საგანგებო სიტუაციებში სიმულაციას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების დაცვით. ტექნიკური რეგულირების დოკუმენტის მოთხოვნათა შესაბამისად დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაცია, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ცეცხლმაქრების შეძენის დოკუმენტები; • ცეცხლმაქრების დატენვის საგადახდო დავალებები; • საევაკუაციო გეგმები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც შესრულებულია ქ. თბილისის მერიის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმები; • ხელშეკრულები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ემსახურება კვალიფიციური ექიმი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და ექიმის დებულებაში. სკოლის ექიმის უმთავრესი ამოცანაა დააკვირდეს მოსწავლეთა ჯანმრთელობას სასწავლო დღის განმავლობაში, ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლის ქრონიკულ დაავადებებზე, მედიკამენტურ მკურნალობაზე და სხვა. მეორე სართულზე განთავსებული სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (მაგიდა, ტახტი (ტაფჩანი), სასწორი, მაცივარი, კარადა - პირველადი მოხმარების მედიკამენტებით, ელექტრო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	მექანიკური სამედიცინო ინვენტარი, ონკანი ნიჟარით და სხვა). შექმნილია სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების უზრუნველსაყოფად, შემუშავებული აქვს ახალი კორონა(COVID-19) ვირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების გასატარებელი ღონისძიებები და წესები. ექიმს აქვს მედიკამენტების გაცემის, მიმართვისა და მოსწავლეთა დაავადების აღრიცხვის ჟურნალი. ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი No41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნის შესაბამისად დაწესებულება გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის ეზოში მდგარ ე.წ. მეორე შენობის პირველ სართულზე მოაწყოს სამედიცინო კაბინეტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სამედიცინო მომსახურის დებულება; • შინაგანაწესი; • პირველადი სამედიცინო მედიკამენტების და ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია • ექიმთან ხელშეკრულება; • ინტერვიუ ექიმთან; • სკოლის დირექციასთან ინტერვიუ; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოების უფროსი და უსაფრთხოების სამსახურის 4 თანამშრომელი. სკოლის შინაგანაწესით უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია აკონტროლოს მოსწავლეთა სკოლაში მოსვლის, სკოლაში ყოფნისა და სკოლიდან გასვლის პროცესები, თანამშრომელთა უსაფრთხოება და სკოლაში მოსულ სტუმართა გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე. შენობის პირველ სართულზე, იზოლირებულ ოთახში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	განთავსებულია მონიტორი, რომლის საშუალებით შესაძლებელია შენობის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება. დაცვის ერთი თანამშრომელი სამეთვალყურეო კამერების მეშვეობით მუდმივად აკვირდება სკოლაში მიმდინარე პროცესებს. ღამის მორიგეს ევალება სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ზრუნვა სკოლის უსაფრთხოებაზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დებულება -„უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“; • შრომითი ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიმდებარე ტერიტორიის, ეზოს და შენობის შიდა პერიმეტრის კონტროლი ხდება უსაფრთხოების კამერებით. სკოლას აქვს 51 ერთეული ვიდეოკამერა. აქედან 4 დამონტაჟებულია გარე პერიმეტრზე, 19 სკოლის ეზოში, ხოლო 28 შენობა-ნაგებობებში. ვიდეოჩანაწერების ჩვენება ხდება სპეციალურ მონიტორზე. ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა შეესაბამება „აზარტული და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სათვალთვალო კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; • სასაქონლო ზედნადებები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში დაწესებულებას შემუშავებული აქვს წესდება, რომელიც მოიცავს სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. შინაგანაწესი აწესრიგებს სკოლის აკადემიური საქმიანობის ძირითად პრინციპებს და მარეგულირებელი დოკუმენტების, სასკოლოს ცხოვრების ძირითადი პრინციპების, სასკოლო ცხოვრების (ჰაუსების, პრეფექტების, უფროსი მოსწავლეების, სასკოლო ხელმძღვანელის, ჰაუსმასტერების, ბაქსვუდის განვითარების მოსწავლეთა საბჭოს, აკადემიურ-ადმინისტრაციული მოწყობისა და მმართველობის სისტემას, სტრუქტურას, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა კოდექსებს, დისციპლინარული კომიტეტის საქმიანობას, დისციპლინარული სანქციებისა და წახალისების ფორმებს, სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა მიღების წესს. სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებს. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება თანამშრომელთა მიღებისა და დათხოვნის წესები, მოსწავლისა და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები, გადაწყვეტილების მიღების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • წესდება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისს“ შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა (2022-2028 სასწავლო წლებისთვის) გამომდინარეობს შპს ,,ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის“ მისიიდან, ეფუძნება სკოლის წინარე ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიულ გეგმას და 2021-2022 სასწავლო წლის SWOT ანალიზს. სკოლის ძირითადი მიზნები და პრიორიტეტებია: 1. ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება; 2. მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნა; 3. ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა; 4. სწავლა-სწავლების მიდგომების და აკადემიური ხარისხის გაუმჯობესება/სრულყოფა; 5. წინა საბაკალავრო პროგრამის დახვეწა/განვითარება; 6. პანდემიით გამოწვეული სასწავლო დანაკარგების სრულფასოვანი შეფასება და მათი აღმოფხვრისათვის შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვა; 7. ინოვაციური ტექნოლოგიების, მათ შორის, AR დაVR ტექნოლოგიების დანერგვის გაგრძელება; 8. კურსდამთავრებულთა ჩართვა სასკოლო განვითარებაშ; 9. ბაქსვუდის სკოლის ფილიალის გახსნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია: 1. სკოლის ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შეფასება, გაგრძელება და/ან დასრულება; 2. პანდემიით გამოწვეული სასწავლო დანაკარგების გათვალისწინებით სასკოლო პროცესები და სასკოლო სასწავლო გეგმის ადაპტირება პოსტ-პანდემიურ ამოცანებთან; 3. სწავლა-სწავლების პროცესების გადახედვა და აკადემიური ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა გასაუმჯობესებელი მხარეების მიხედვით; 4. წინა საბაკალავრო პროგრამის გაძლიერება; 5. სასწავლო პროცესში AR დაVR ტექნოლოგიების დანერგვის მეორე ფაზის განხორციელება. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმების განხორციელების გზები, ვადები, განსაზღვრულია განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეულები/პოზიციები და შეფასების ინდიკატორები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2016-2022 წლების სტრატეგიული გეგმა; • 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში გამოცემული ან მომზადებული აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვას, რეგისტრაციასა და ნუმერაციას. შექმნილია ბრძანებების, ოქმების, შემოსული და გასული კორესპონდენციების რეგისტრაციის ჟურნალები და სპეციალური საქაღალდეები. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დამოწმებულია დირექტორის მიერ. შემუშავებულია სპეციალური საქმიანი ბლანკები, რომლებზეც გამოსახულია სკოლის ლოგო, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები გაფორმებულია სატიტულო ფურცელზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების წესი; • სარეგისტრაციო ჟურნალები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდი წარმოადგინა საშტატო განრიგი და სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის პორტირებული მონაცემები, რომლის მიხედვითაც სკოლა უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადმინისტრაციული, ტექნიკური და დამხმარე ადამიანური რესურსით. საშტატო განრიგის მიხედვით სკოლას ჰყავს: დამფუძნებელი, გენერალური დირექტორი, აკადემიური და ტექნიკური დირექტორები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი, 60 პედაგოგი, 7 კლასის ხელმძღვანელი, 16 ტუტორი, 5 ჰაუსმასტერი, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და მარკეტინგის მენეჯერი, სასკოლო კომუნიკაციების კოორდინატორი, აკადემიურ საქმეთა კოორდინატორი, დაწყებითი კლასების კოორდინატორი, მთავარი ბუღალტერი, ლოჯისტიკისა და გადასახადების მონიტორინგის მენეჯერი, იურისტი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, კვების სამსახურის 10 თანამშრომელი, ტრანსპორტის სამსახურის 25 თანამშრომელი, საინფორმაციო ტექნოლოგიების 1 სპეციალისტი, სამეურნეო სამსახურის უფროსი და 2 თანამშრომელი, უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და 4 თანამშრომელი, შრომის უსაფრთხოების 2 სპეციალისტი. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და შრომით ხელშეკრულებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საშტატო განრიგი; • თანამშრომელთა პირადი საქმეები; • განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები; • შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	60
მოწვეული/მაძიებელი	3 (მოწვეული)
პრაქტიკოსი მასწავლებლი	12 (უსტატუსო)
უფროსი მასწავლებლი	37
წამყვანი მასწავლებლი	6
მენტორის სტატუსი	2

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნათა მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	გადამოწმდა მასწავლებელთა პირადი საქმეები. დასაქმებულ მასწავლებლებს უდასტურდება კვალიფიკაცია იმ საგნებში, რომელთაც ასწავლიან. შესაბამისი კვალიფიკაცია უდასტურდება სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალსაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • კონკურსის ჩატარების წესი; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; • თანამშრომელთა პირადი საქმეები; • შრომითი ხელშეკრულებით; • განათლების მართვის ერთიანი საინფორმაციო ბაზის მონაცემები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. ინფორმაცია ვაკანსიებისა და კონკურსის ჩატარების წესებისა და ეტაპების შესახებ თავსდება სკოლის ვებ–გვერდზე და http://teacherjobs.ge/ -ზე. სკოლის შინაგანაწესის მე-5 თავის 24-ე მუხლით განსაზღვრულია ღია კონკურსით პედაგოგთა სკოლაში მიღების, ხოლო მე-6 თავის 28-ე მუხლით თანამშრომელთა მიღების წესები. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი გერმანული ენისა და რამდენიმე სხვა საგნის მასწავლებლის პოზიციაზე. სკოლის შინაგანაწესის მეხუთე-მეექვსე თავებში განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, შრომითი ურთიერთობების წარმოება, შრომითი ურთიერთობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	პირობები, შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორების წესები, დასაქმებულის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები და ფორმები და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • შრომითი ხელშეკრულებები; • ინტერვიუ სკოლის დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის თანამშრომლებთან გაფომრებულია ხეშეკრულებები. მასწავლებლებთან სტატუსის ფუნქციების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესის მე-15 მუხლით განსაზღვრულია საგნობრივი დეპარტამენტების ფუნქციები, სადაც კონკრეტდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობები: სკოლაში თუ სკოლის გარეთა ტრენინგებზე მონაწილების, სამუშაო შეხვედრებში მუშაობისა თუ საგაკვეთილო პროცესზე დასწრების მიმართულებით. სკოლის დირექციასა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხშირია საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, საგნობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან საკონსულტაციო შეხვედრები და ტრენინგ-პროგრამებში მონაწილეობა. პროფესიული განვითარების აქტივობების შესახებ ინფორმაციას მოიცავს საგნობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	ანგარიშებიც. სკოლას გაფორმებული აქვს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ზოგადი განათლების საფეხურის მიზნების შესაბამის ისეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც მქნიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა მხარდამჭერ პროგრამას. პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერტიფიკატები მოთავსებულია მასწავლებელთა პირად საქმეებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის შინაგანაწესი; • საგნობრივი დეპარტამენტების ანგარიშები; • გაფომრებული მემორნადუმები; • მასწავლებლების პირად საქმეებში არსებული სერტიფიკატები; • საგნობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან გასაუბრება; • სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეები, მოსწავლეების მშობლები და თანამშრომლები გასაუბრებისას აქტიურად საუბრობენ სკოლაში არსებული დაცულობისა და კეთილგანწყობის გარემოს შესახებ. მოსწავლეები აქცენტს აკეთებენ მასწავლებლებსა და ჰაუსმასტერებთან ურთიერთობის ასპექტებზე. მშობლები აქტიურად აღნიშნავენ სკოლის გუნდის ჩართულობას მოსწავლეთა სწავლების პროცესში და აღნიშნავენ, რომ მაღალი ნდობა აქვთ მათდამი. კმაყოფილებას გამოთქვამენ მათგან ინფორმაციის მიწოდების სისტემატურობისა და კონკრეტულ საჭიროებაზე თანამშრომლობის შესახებ. მასწავლებლები აღნიშნავენ სკოლაში არსებული ურთიერთობების მრავალწლიან გამოცდილებას, როგორც კოლეგებთან, ასევე დირექციის და მოსწავლეების მშობლებთან. სკოლის თანამშრომლებს შორის გარდა სკოლის დირექციის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.

	შემუშავებული დოკუმენტებით განსაზღვრული თანამშრომლობის ფორმალური აქტივობებისა, არსებობს არაფორმალური აქტივობების შემთხვევებიც. სკოლის მოსწავლეები საუბრობენ სწავლების პროცესში წყვილში და ჯგუფებში შესასრულებელი დავალებებისა და ერთობლივი პროექტების, საკლასო, სასკოლო და სკოლის გარეთა აქტივობების შესახებ. დაწესებულებაში მიმდინარე პროცესის ხელშემწყობი დოკუმენტებისა და ხელშეკრულებების შინაარსის მიხედვით, გადანაწილებულია დასაქმებულთა პასუხისმგებლობები და შესაძლებელია სასკოლო საზოგადოების წევრთა შესაძლებლობების გამოვლენის ხელშეწყობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან გასაუბრება; • სკოლის მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება; • სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება; • საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები; • შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის შინაგანაწესი; • გაფორმებული ხელშეკრულებები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 07.09.2022 წ.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 48

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ. ა.